

შიხილ ზაბაშვილი

მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი
სახელის შესახებ ქართულში

მრავლობითი რიცხვი, როგორც წესი, გულისხმობს თავის კორე-
ლატს — მხოლოდობითს.

მრ.	მხ.
სახლ-ები	სახლ-ი
ქალაქ-ები	ქალაქ-ი
წიგნ-ები	წიგნ-ი და ა. შ.

მაგრამ ქართულში არის რამდენიმე წყება ისეთი არსებითი სა-
ხელებისა, რომლებიც მხოლოდ მრავლობით რიცხვში იხმარება (და
ახლავს სიმრავლის წარმოდგენა). ასეთებია:

1) საერთო-სახალხო ენის კუთვნილი (უპირატესად დიალექტუ-
რი) სიტყვები: **ბატონები** და **ყვავილბატონები** (მოარული დაავადება,
რომლისთვისაც დამახასიათებელია უხვი გამოხაყარი), **ჩვენები** (ჩვენი
ოჯახის წევრები), **თქვენები** (თქვენი ოჯახის წევრები), **ახალუხლები**
(ახალგაზრდები. ფშ.), **ბასარხსლები** (ჩიტის ბარტყები. იმერ., გურ.),
ბაჭაყეები (ბავშვები. იმერ.), **ოთორთქლები** (პატარა შვილები. იმერ.,
რაჭ.)...

ამ ჯგუფის სიტყვები თითებზე ჩამოსათვლელია.

2) სალიტერატურო ქართულისათვის ჩვეულებრივია მრავლო-
ბითში დამსული ნასესხები („საერთაშორისო“) სიტყვები: **ფინანსები**,
კულისები, **მემუარები**, **დებატები** და სხვ.¹

3) განსაკუთრებით ბევრია შინაარსობრივად მონათესავე ორ-ორი
სახელისაგან შედგენილი კომპოზიტები მრავლობით რიცხვში; მაგა-
ლითად: **შთა-გორები**, **ნაცნობ-მეგობრები**, **ნაცნობ-ნათესავეები**, **სწორ-**

¹ ზოგი მათგანი შეიძლება შეგვხვდეს მხოლოდობითიც (მაგ., **კულისი**), მაგრამ
ეს სიტყვები უპირატესად მრავლობითში იხმარება.

ამხანაგები, გოგო-ბიჭები, თავად-აზნაურები, ქაჯ-ეშმაკები, ჩინ-მედ-ლები...

ამ რიგის კომპოზიციები ქართულ ნიადაგზე დღესაც ადვილად იქმნება (ნასესხები სიტყვებიდანაც კი); მაგ.: მუშა-მოსამსახურეები, პროფესორ-მასწავლებლები, პიონერ-მოსწავლეები, ფაბრიკა-ქარხნები, მანქანა-იარაღები, ლექცია-საუბრები, მანქანა-ტრაქტორები და ა. შ.

4) უკანასკნელ, ქართულში არის კიდევ ერთი ჯგუფი არსებითი სახელებისა, რომლებიც ხშირად წარმოდგენილია მრავლობითის ფორმით და თითქოს ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებს უტოლდება, მაგრამ მათგან განსხვავებით არ ახლავს მრავლობითის გაგება; სხვანაირად რომ ვთქვათ, მრავლობითის ფორმა არ გულისხმობს სიმრავლეს — ერთი საგნის ან მოვლენის აღსანიშნავად გვაქვს პარალელური ფორმები — მხოლოდითი და მრავლობითი. ასეთებია: **სათვალე — სათვალეები**, ყველაზე ძველი ასეთ სიტყვებს შორის და ყველაზე უფრო ხმარებული, და რამდენიმე ნასესხები სიტყვა: **ჭუნგლი — ჭუნგლები**, **კურანტი — კურანტები**, **აპლოდისმენტი — აპლოდისმენტები** და სხვები, რომლებიც შედარებით გვიან (ზოგი მათგანი, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ) არის გაჩენილი.

წინამდებარე წერილი ეხება სწორედ ასეთ არსებით სახელებს.

* * *

ყველა სიტყვა, რომელზედაც ქვემოთ არის საუბარი, თანაბარი ღირებულებისა როდია: ზოგი მეტად არის გავრცელებული, ზოგი — ნაკლებად, მაგრამ ქმნიან ერთ ტიპს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დროდადრო შემოდის ქართულში ანალოგიური ახალი სიტყვები. ფორმათა ამ რიგის პარალელური ხმარება ენაში სასურველი არ არის და საჭიროა ვიცოდეთ, რომელს მიეცეს უპირატესობა.

სათვალე — სათვალეები

ეს სიტყვა მე-19 საუკ. მეორე ნახევარში და ჩვენი საუკუნის ორ-მოცდაათიან წლებამდე ორივე სახით გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში. მრავლობითში ხმარობს ბევრი მწერალი. რამდენიმე მაგალითი:

ერისთავის მეუღლემ სათვალეებს დაუწყო ძებნა (აკაკი, „ბაში-აჩუკი“).

მარიამი სათვალეების მოსაძებნად წავიდა (იქვე).

ვრიბოედოვი დიდ სათვალეებს თალათინის ნაჭრით ისუფთავებდა (მ. ჯავახიშვილი, „არსენა მარაბდელი“).

მოდრეცილი სათვალეები ცხვირზე ჩამოედვა (ლ. ქიაჩელი; „გვაღობიგვა“).

პარალელურად არსებობს აგრეთვე ფუძემეცვეცილი სათვალეები. ეს ფორმაც საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს და გვხვდება აკაკის, რ. ერისთავის, ნ. ლომოურის, ნ. ლორთქიფანიძის და სხვათა თხზულებებში.

გარდა ამისა ჩვეულებრივია ნაწარმოები სიტყვები: „სათვალეებიანი“ (ს. მგალობლიშვილი, ქ. ბაქრაძე...) და „სათვალეებიანი“ (ილია, რ. ერისთავი, ს. მგალობლიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ა. ბელიაშვილი და სხვ.).

ამგვარად, სათვალეები ძალიან არის გავრცელებული ქართულ ლიტერატურაში, მაგრამ არანაკლები ადგილი უჭირავს სათვალესაც. მას ხმარობენ აკაკი, ი. გედევანიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ს. შანშიაშვილი, გ. ქიქოძე, ლ. ქიაჩელი და სხვები.

რა მიზეზია, რომ ის ყმაწვილი შუბლზე იდებს ხოლმე სათვალესო? (აკაკი, „მოსწრებული სიტყვა-პასუხი“).

სად არის ჩემი სათვალე? (ნ. ლორთქიფანიძე; „სენტიმენტალური“).

გობეჩიამ სათვალე გაისწორა (ს. შანშიაშვილი; „ვაჟა-ფშაველა“).

როგორც დავინახეთ, არამცთუ სხვადასხვა ავტორს, არამედ ხშირად ერთსა და იმავეს, ზან მრავლობითის ფორმით აქვს ეს სიტყვა ნახმარი და ზან — მხოლოდობითის ფორმით.

ქართული ენის განვითარების ამ პერიოდში სათვალე და სათვალეები თანაბარი უფლებით გვევლინება.

ამ ორი ვარიანტისგან სათვალე უფრო ადრე არსებობდა. იგი იცის საბა-სულხან ორბელიანმა:

სათუალე (სათვალე) — ბროლი არს თვალთა საფარი წიგნთა კეთილად წასაკითხავად.

იგი აქვს ნ. ჩუბინაშვილსაც თავის ლექსიკონში:

სათვალე — სალტეშემოკრულნი მრგვალნი კიქანი, სუსტად მხედველთათვის სახმარნი, ОЧКИ².

მე-19 საუკუნეში, ეტყობა ჯერ ზეპირ მეტყველებაში და შემდეგ ლიტერატურაშიც, სათვალის პარალელურად რუს. ОЧКИ-ს გავლენით³ ფეხს იკიდებს სათვალეები, თუმცა ამ უკანასკნელმა სათვალე ვერ განდევნა და მთლიანად ვერ დაიჭირა მისი ადგილი.

თუ მხატვრულ ლიტერატურასა და სასაუბრო მეტყველებაში ბო-

² ასევეა, ოდნავ გადასხვაფერებულად, დ. ჩუბინაშვილთანაც.

³ მრავლობითის ფორმა რომ ნამდვილად რუსულის გავლენითაა გავრცელებული, ამის შესახებ ქვემოთ.

ლო ხანებამდე თითქმის თანაბრად ხმარებოდა **სათვალე** და **სათვა-
ლევები**, სამაგიეროდ ყველა თარგმნითს ლექსიკონში (რუსულ-ქარ-
თულში, ქართულ-რუსულში, გერმანულ-ქართულში და ა. შ.) გვხვდებ-
ა მხოლოდ **სათვალე**.

შეგნებული ჩარევის შედეგად უკანასკნელი 15—20 წლის ლიტე-
რატურაში, პრესაში, წინა პერიოდისაგან განსხვავებით, **სათვალეს** ეძ-
ლევა უპირატესობა. **სათვალეს** ვხვდებით გრ. ჩიქოვანის, ა. ლომიძის,
ო. დგებუაძის, ა. სულაკაურის, რ. ჯაფარიძის და სხვათა მოთხრობებ-
ში. **სათვალეები** უფრო და უფრო უთმობს ადგილს **სათვალეს**. თანა-
მედროვე პრესა, ახალი თაობის მწერლები, როგორც წესი, **სათვალეს**
რჩეობენ. მაგალითად:

დამცველი **სათვალე** („კომუნისტი“, 1952).

ყველს შვიი **სათვალე** გვეკეთა (თ. ნატროშვილი, „გამოდებიება“: „ცის-
კარი“, 1961, № 6).

ჭუმბერს **სათვალე** უკეთა (თ. კილაძე, „პირველი დღე“: „ცისკარი“, 1964,
№ 4).

[მონაზონს] რკინის-ჩარჩოიანი **სათვალე** ეკეთა (ჭ. ხელინჯერი, „თამაში
ქვავის ყანაში“, მთარგმნელი ვ. ქელიძე, 1963).

ნანობაშვილმა **სათვალე** გაიკეთა (ა. ჭიჭინაძე, „ჩემი დღე“: „ცისკარი“,
1967, № 9).

სათვალე იანი მოხუცი („კომუნისტი“).

ვილაც **სათვალე** იანმა ქალმა... მოკიდა ხელი (რ. ინანიშვილი, „სალამა
ხანის ჩანაწერები“: „ცისკარი“, № 12, 1969)

და ბევრი სხვა.

ეს მდგომარეობა ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსი-
კონში, სადაც განმარტებულია **სათვალე**, **სათვალეიანი**, ხოლო **სათვა-
ლევები**, **სათვალეებიანი** (აგრეთვე **სათვალეებიანი**) მითითებულია მათზე
(შესაბამისად). ამასთანავე, მრავლობითში დასმული ვარიანტები კვა-
ლიფიცირებულია როგორც ბარბარიზმები. **სათვალეები** და მისგან ნა-
წარმოები სიტყვები **გლ-**ში ასახულია, მაგრამ სათანადო შენიშვნით,
რაც ზღუდავს მათ ხმარებას. **გლ-**ში **ლურჯსათვალეებიანი**ც მითითე-
ბულია **ლურჯსათვალეიანზე**, მიუხედავად იმისა, რომ პირველს დოკუ-
მენტაცია ახლავს, მეორეს — არა. **ოლ-**ში ვკითხულობთ: **სათვალე**
[და არა **სათვალეები**].

დასკვნა ერთი შეიძლება იყოს: **სათვალეები**, რომელიც ძალიან
იყო გავრცელებული, ამჟამად გზას უთმობს მართებულ და უფრო
ძველ **სათვალეს**.

ამ კატეგორიის დანარჩენი სიტყვები ყველა ნასესხებია და შემო-
სულია რუსული ენის გზით.

ჯუნგლი — ჯუნგლები (ტროპიკული გაუვალი ტყე)

სიტყვა ინგლისურია (jungle, მხ. რიცხვი), სადაც შესულია ინდურიდან (სანსკრიტიდან); რუსულში გაფორმებულია მრავლობითად (ДЖУНГЛИ)⁴. ქართულ ლიტერატურაში ეს სიტყვა უპირატესად მრავლობით რიცხვში გვხვდება. მაგალითად:

ჩვენს სოფელს ყუმბარა თითქმის არ მოხვედრია... ჩვენ ზამ თითქმის სრულებით არ ვჩანვართ ზემოდან; რაც არ უნდა იყოს, ჯუნგლებია („კომუნისტი“, 1968; წერილი გადმოღებულია „იზვესტიიდან“).

გემზე მოთავსებული ავიაბაზიდან ჯუნგლების გავლით ორი ამერიკელი ჯარისკაცი კუნძულის მეორე მხარეს გაემართა („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1968).

ონორა კუნძულ ლუბანგის ჯუნგლებში იმალებოდა (იქვე).

ჯუნგლებში გზაბნეული იაპონელების დევნა (იქვე).

ბოლო სამი მაგალითი მოყვანილია სტატიიდან, რომელიც აგრეთვე გადმოსარგმნილია რუსულრიდან.

რომ ამ სიტყვის მრავლობითად გადმოდების ტენდენცია ძლიერია, ჩანს შემდეგიდანაც: 1967 წელს სერიაში „ნადირობა, მოგზაურობა, თავგადასავალი“ VI ტომად გამოიცა ინდოელი მწერლის დხან მუქერჯის მოთხრობა (თარგმანი რუსულრიდან), რომლის სათაურია „ჯუნგლებში“. ამ ნაწარმოების პირველსავე თავს ეწოდება „ჯუნგლების კარიბჭესთან“; მე-8 გვერდზე ვკითხულობთ: „მე ძალიან მიყვარს ჯუნგლები“ და ა. შ.

არც თუ იშვიათად მრავლობითის ფორმით ეს სიტყვა გვხვდება ორიგინალურ ნაწარმოებებშიც. მაგალითად:

ჯუნგლებში გატარებული ზაფხული (გ. დოჩანაშვილი: „ცისკარი“, № 4, 1967).

ისე ვიკვით, თითქოს მართლა ჯუნგლებში ვიყოთ (ს. კლდიაშვილი, „სირინოზი“: „ცისკარი“, № 7, 1968).

მაგრამ რ. კიპლინგის ცნობილ მოთხრობა „მაუგლი“-ში, რომელიც უშუალოდ ინგლისურიდან არის თარგმნილი (მთარგმნელი თამარ დიასამიძე; პირველი გამოცემა — 1946 წ., მეორე — 1958), ყველგან jungle-ის შესატყვისად არის ჯუნგლი:

ჯუნგლის ლამეული სიმღერა.

ჯუნგლის შუაგულში შევიდნენ.

ჯუნგლის კანონები.

მეორე მხარეს ჯუნგლი ციცაბოდ ეშვებოდა.

ცხოვრების... ერთბაშად შეცვლა არც ისე ადვილია, მეტადრე ჯუნგლში... და ბევრი სხვა.

⁴ ალბათ რუს. дебри-ს (რაც დაახლოებით იმავეს ნიშნავს) ანალოგიით.

ეს ნაწარმოებები არ არის ერთადერთი, რომელსაც მხოლოდობითად გადმოაქვს ჩვენთვის საინტერესო სიტყვა. მაგალითად, ყოველკვირეულ „ეკრანის ამბებში“, რომელიც ქართულად და რუსულად გამოდის და რომელშიც ალბათ დიდად მაცდუნებელი იყო მრავლობითის ფორმა, ვკითხულობთ:

სტუდიის ერთ მხარეს მოეწყობა „ჯუნგლი“ — პატარა ტყე; „ჯუნგლი“ კინოსტუდიას სინამბროსიდან გამოჰყოფს და ნატურული გადაღებებისათვის გამოიყენება („ეკრანის ამბები“, 1969).

ლექსიკონებში, სადაც ეს სიტყვა არის ფიქსირებული, თითქმის ყველგან მხოლოდობითია (უცხო. 1928; რ.-ქ. 1937; რ.-ქ. სამტ.; გლ; ოლ და სხვ.). გამონაკლისია გ. ახვლედიანის უცხო სიტყვათა ლექსიკონი, რომელშიაც ეს სიტყვა მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი.

კურანტი — **კურანტები** (კოშკის საათი; რომელიც ასრულებს რაიმე მუსიკალურ ნაწარმოებს).

სიტყვა ფრანგული წარმოშობისაა და ჩვენს ენაში შემოსულია რუსულიდან.

კრემლის კურანტების ხმა; რეჟავენ (ან: რეჟავს) კრემლის კურანტები (გაზეთებიდან).

მხოლოდობითი ვეაქვს რ.-ქ. სამტ.-ში (куранты კურანტი; кремлевские куранты კრემლის საათი, კურანტი), აგრეთვე მ. ჭაბ. უცხო.-ში, ოლ-ში (გლ-ში სათანადო საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით შეტანილია კურანტები).

საინტერესოა, რომ ფრანგული courant, -e, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და ხან ზედსართავ სახელად გვევლინება (მიმდინარე), ხან კი — არსებითად (დენა და სხვ.), რუსულში შესულია სამი სხვადასხვა სიტყვის სახით:

курант — ლითონის ან ქვის მოწყობილობა სასტამბო საღებავის გასაქნელად.

куранта — ძველებური ფრანგულ ცეკვა.

куранты — კოშკის საათი...

როგორც ვხედავთ, ორი მათგანი მხოლოდობითია, ერთი — მრავლობითი. უკანასკნელი იმიტომაც მრავლობითის ფორმით, რომ საათის აღმნიშვნელ სიტყვას რუსულში მხოლოდობითი არ მოუხერხებოდა (შდრ. часы).

ფრანგ. applaudissements მრავლობითია; ასევეა რუსულში: аплодисменты. ქართულში შედარებით იშვიათად გვხვდება, რადგანაც გვაქვს მისი შესატყვისი ტაში, ტაშის კვრა, მაგრამ იხმარება მაინც და ხან მხოლოდობითშია, ხან — მრავლობითში. ილუსტრაციები პრესიდან:

მაყურებელი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა, აპლოდისმენტებს ბოლო არ უჩანდა („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950 წ.).

ზაქარიას პირველი მონოლოგისთანავე ისმის ტაში. აპლოდისმენტი დიდხანს გრძელდება („კომუნისტი“, 1970).

ყველა ლექსიკონში, რომელშიც კი შეტანილია ეს სიტყვა (გლ., რ.-ქ. 1937, რ.-ქ. სამტ., უცხ. 1928, ი. იმედ. უცხ., გ. ახვლ. უცხ., მ. ჭაბ. უცხ., ილ), მხოლოდობითშია.

კორტესი — კორტესები (ესპანეთის პარლამენტის სახელწოდება)

ესპანურად la corte ნიშნავს სამეფო კარს, ხოლო იგივე სიტყვა მრავლობითში — cortes — პარლამენტს; cortes (ამ მნიშვნელობით) უცვლელად არის შესული სხვა ევროპულ ენებში (ფრანგულში, იტალიურში, ინგლისურში, გერმანულში და სხვ.). რუსულში ფუძედ აღებულია მრავლობითის ფორმა кортес (< ესპ. cortes) და კვლავ დართული აქვს მრავლობითის დაბოლოება -ы: кортесы⁵.

რუსულის გავლენით, საიდანაც შემოვიდა ეს სიტყვა, ქართულში მიიღო მრავლობითის დაბოლოება: кортес-ы — კორტეს-ებ-ი და ასე გვაქვს ძველად გამოცემულ ლექსიკონებში (უცხ. 1928, ი. იმედ. უცხ., გ. ახვლ. უცხ.). მხოლოდობითში (კორტესი) ჩნდება პირველად რ.-ქ. 1937-ში. დღესდღეობით ორივე ფორმით გვხვდება (ჩვეულებრივ პრესაში). „კომუნისტის“ 1969 წლის 24 და 25 ივლისის ნომრებში გამოქვეყნებულია ორი დეპეშა (ერთსა და იმავე საკითხზე). ორივეში იხსენიება ესპანეთის პარლამენტი. პირველში ვკითხულობთ:

გუშინ საღამოს კორტესების (პარლამენტის)... სხდომაზე გენერალმა ფრანკომ... ასტურიის პრინცი დაასახელა თავის მემკვიდრედ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე და ესპანეთის მომავალ მეფედ.

⁵ ამ ტიპის სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება: КОМИКС [< ინგლ. comics (მრ.)] — КОМИКСЫ და შემდეგ ქართულში: კომიქსი (ბულკარული ჟურნალი); БИТЛЗ [< ინგლ. beetles (მრ.)] — БИТЛЗЫ — „ბიტლზები“ („ხოჭოები“ — ინგლისელი ესტრადის ცნობილი მსახიობები).

მეორეში:

ასტურის პრინცმა დონ ხუან კარლოს ზურბონმა გუშინ კორტესში (პარლამენტში) დადო ფიცი როგორც ესპანეთის მომავალმა მეფემ.

საგულისხმოა, რომ „კომუნისტმა“ კორტესმა, წინა დღეს კორტესებად თარგმნილი, მეორე დღეს უმჯობესად მიიჩნია მხოლოდობითის ფორმით გადმოცემა.

ციმბალი — ციმბალები (ერთგვარი სიმებიანი მუსიკალური საკრავი)

რუსულადაა **цимбалы** (მრ.); მრავლობითია აგრეთვე პოლონურად: **cymbaly** (ССРЛЯ-სა და СРЯ-ს მიხედვით რუსულში პოლონურიდან შემოსულად ითვლება, სხვა ლექსიკონები სხვადასხვა გზას უჩვენებენ). ეს არის ლათ. **cymbalum**, რომელიც თავის მხრივ მიღებულია ბერძნულ **κύμβαλον**-იდან (ლათინურსა და ბერძნულში, როგორც გხვდავთ, მხოლოდობითია).

ქართულში მრავლობითის ფორმით (**ციმბალები**) შეტანილია ი. იმედ. უცხ.-ში; ყველა სხვა ლექსიკონში, რომელშიც კი არის ეს სიტყვა, მხოლოდობითია (უცხ. 1928, გ. ახვლ. უცხ., რ.-ქ. სამტ., გლ და სხვ.). მხოლოდობითია აგრეთვე „კომუნისტში“ (1955 წ.): „ძველებური ხალხური ინსტრუმენტი ციმბალი“.

კლავიკორდი — კლავიკორდები (ძველებური კლავიშოანი მუსიკალური საკრავი)

სიტყვა ფრანგული წარმოშობისაა: **clavicorde** (მხ.), რუსულში მრ.-ია: **клавикорды**, მაგრამ ზემოთ განხილული სიტყვებისაგან განსხვავებით მისთვის მხოლოდობითიც არ არის უცხო (მხ. **клавикорд** შესულია ССРЛЯ-სა და СИС-ში).

ქართულში მხოლოდობითის ფორმითაა შემდეგ ლექსიკონებში: ი. იმედ. უცხ., გ. ახვლ. უცხ., რ.-ქ. სამტ., **ოლ**, აგრეთვე ჯ. სელინჯერის რომანის — „თამაში ჭეაგის ყანაში“ — თარგმანში (მთარგმნელი ვ. ჭელიძე). მრავლობითია **გლ**-ში, სადაც მოყვანილია ფრაზა ლ. ტოლსტოის „ომისა და მშვიდობის“ თარგმანიდან (მთარგმნელი ი. აგლაძე).

რეიტუზი — რეიტუზები (ერთგვარი ვიწრო შარვალი)

გერმ. **Reithose** (მხ.), რუს. **рейтузы** (მრ.). ლიტერატურაში ორიენიარად გვხვდება. მაგ.:

როსტოვს რეიტუზები... მოესვარა (ლ. ტოლსტოი, „ომი და მშვიდობა“, I. ი. აგლაძის თარგმ.).

გუბაშვა რეიტუზს ფეხები გაუყარა და კარავიდან გამოვიდა (რ. ინანიშვილი, „წვეთები ფოთლებზე“).

ლექსიკონებში მხოლოდითშია (იხ. უცხ. 1928, გ. ახვლ. უცხ., რ.-ქ. სამტ., გლ, ოლ და სხვ.).

ტრუსი — ტრუსები (მოკლე საცვალი ან შარვალი, ჩვეულებრივ სატინისა)

რუს. трусы (მრ.). ქართულ სასაუბრო მეტყველებაში, როგორც წესი, ეს სიტყვა მრავლობითში იხმარება. ბოლოდროინდელ ქართულ ლიტერატურაში იგი შესულია და ხან მხოლოდითშია, ხან — მრავლობითში:

[ალექსანდრემ] ტანთ გაიძრო და ტრუსის ამარა წამოწვა შეზღონგზე (ნ. წულეისკარი, „ტელემაყურებელი“: „ცისკარი“, № 8, 1967).

... ლურჯი ტრუსის ამარა დარჩა (რ. ინანიშვილი, „მწვანე ბურუსი“: „ცისკარი“, № 3, 1970).

[პელეს] მისურა და ტრუსი დაზღვეულია 60.000 დოლარად („კომუნისტი“, 1970).

ტრუსებს გარდა სულ გაიხადა ყველაფერი (ჭ. სელინჯერი, „თამაში ქვაკის ყანაში“, ვ. ქელიძის თარგმ.).

ტრუსების ამარა ვიყავი (გ. დოჩანაშვილი, „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი“: „ცისკარი“, № 3, 1970).

ყოველგვარი შარვლის, საცვლის სახელწოდება რუსულად აუცილებლად მრავლობითშია (მაგ.: брюки, шаровары, штаны, кальсоны...), ამავე რიგისაა рейтузы -ცა და трусы-ც, ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ბოლო ათეული წლის მანძილზე შემოსული ორი სიტყვა джинсы (< ინგლ. jeans) — ერთგვარი ეიწრო შარვალი და шорты (< ინგლ. shorts) — მოკლე შარვალი — მრავლობით რიცხვშია⁶.

ეს სიტყვები ქართულში შემოვიდა ზეპირი გზით მრავლობითის ფორმით. მაგრამ მხოლოდითიც არ არის უცხო. ლიტერატურაში ჯერჯერობით იშვიათად გვხვდება; ერთი მაგალითი:

⁶ თუმცა ლიტერატურიდან ჩანს, რომ ინგლისურის გავლენით ზოგჯერ იხმარება არა მრავლობითში, არამედ უცვლელი ფორმით джинс: «... оно визне, недостаточной освоенности этого слова свидетельствует его формальная неустойчивость: паряду с джинсы... встречается и неизменяемая форма джинс, которая ближе к английскому оригиналу, но грамматически «трудна», необычна для русского языка (დაყოფა ჩვენი — მ. ჰ.): Л. Крысин, Иноязычные слова в современном русском языке, Москва, 1968, გვ. 157.

ჯინსის შიდა ჯიბეში... სანადირო დანა უდევს (გ. ასათიანი, „ლიტერატურული საქართველო“, 1969 წ.).

* * *

ზემოთ განხილული არსებითი სახელები რუსულში მრავლობით რიცხვში იხმარება. რუსულში კი, როგორც ცნობილია, ბევრი სხვა საგნის სახელიც არის მრავლობით რიცხვში. მაგ.: качели — საქანელა, клещи — გაზი, перила — მოაჯირი, салазки — ციგა, сани — მარხილი, сливки — ნაღები, щипцы — მარწუხი და ა. შ. ასეთი კატეგორია ცნობილია სხვა ენებშიც და გრამატიკაში pluralia tantum-ს უწოდებენ. ასეთ სიტყვებს „... აქვე მხოლოდ მრავლობითის ფორმა, რადგანაც საგანი, რომელსაც ეს სიტყვები აღნიშნავენ, შედგება ერთმანეთისაგან გასაცალკევებელი ნაწილების მთლიანობისაგან“⁷. რუსულში გამოყოფენ ამ ტიპის სახელების ოთხ ჯგუფს და რამდენიმე ქვეჯგუფს⁸. ამ ენაში ანალოგიური ახალი სიტყვები რომ ჩნდება, ბუნებრივია, ფორმდება მრავლობითად.

ქართული ენისათვის (რუსულისაგან განსხვავებით) არ არის ბუნებრივი, რომ სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმით იყოს და ერთ საგანს ან მოვლენას აღნიშნავდეს.

ზემოთ განხილული ათი თუ თერთმეტი სიტყვა მრავლობითის ფორმით შემოსულია იმის გამო, რომ მთარგმნელის (ან, საერთოდ, რუსული ენის მცოდნე პირის) ცნობიერებაზე გავლენას ახდენს რუსულის მრავლობითის დაბოლოება (სიტყვის გარეგნული, გრამატიკული მხარე). მაგრამ, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ლიტერატურულ-ენობრივი კონტროლის შედეგად ეს სიტყვები იხმარება აგრეთვე მხოლოდობით რიცხვში. ეს მხოლოდობითი და მრავლობითი ერთმანეთისაგან შინაარსობრივად არ განსხვავდება.

ასეთი პარალელური ფორმები სალიტერატურო ენაში გაუმართლებელია. ქართული ენის ტრადიციის მიხედვით, კერძოდ, გაუმართლებელია მრავლობითი რიცხვი⁹.

7 Ж. Мар'узо, Словарь лингвистических терминов (რუსული თარგმანი), Москва, 1960, გვ. 158.

8 Грамматика русского языка, I, Фонетика и морфология, Москва. Издательство АН СССР, 1953, გვ. 118—120.

9 ის მრავლობითი, რომელსაც იყენებენ ერთი საგნის აღსანიშნავად. მაგრამ ეს სიტყვები შეიძლება მრავლობითშიც იყოს (როდესაც საგნის სიმრავლეა გადმოსაცემი). მაგ.: „სათვალღებო ცხვირზე მიუკრავთ ბრუკანებს“ (უ. შექსპირი, „კორიოლანოსი“, თარგმ. ივ. მაჩაბლისა); „აფრიკის ჯუნგლებში“ (გაზეთებიდან); „მაისურები, ტრუსები, კრივის ხელთათმანები საწყობშია ჩაკეტილი“ („ახალგაზრ-

ეს ტრადიცია შემდეგში მდგომარეობს:

1) იმ სიტყვებს, რომლებსაც რუსულში მხოლოდ მრავლობითი რიცხვი აქვს, შეესაბამება ძველთაგანვე დამკვიდრებული სიტყვები მხოლოდითი რიცხვის ფორმით. მაგ.: чернила—მელანი, весы—სასწორი, часы—საათი, шахматы—ჭადრაკი, бюроки—შარვალი, ясли—ბაგა და სხვ¹⁰. (უცხო ენაში—მრავლობითი, ქართულში—მხოლოდითი),

შენიშვნა: გამონაკლისია ორი სიტყვა: **არდადეგები** და **არჩევნები**. ბირველი მათგანი ძველად იყო მხოლოდითში და ჰქონდა სხვა მნიშვნელობა: „**არდადეგი** — მზე რა ღომში შევა გასვლამდის“ (**საბა**). „**უამი ზაფხულისა, ოდეს მზე შევალს ღომის ზოდიაქსა შინა, каникулы**“ (**6. ჩუბინაშვილი**), ამ მნიშვნელობით მრავლობითში აქვს ნახმარი უკვე ვ. ბარნოვს: „**ეხლა სწორედ მოხერხებული დროა დღიურად მუშაობისა... ყველასაც გვიჭირს მუშა ხელი ამ არდადეგებში, აი მეც მეკალოგე მინდა**“ („თებერას დანიშნული“). ამჟამად, როგორც ცნობილია, სხვა მნიშვნელობა აქვს („დრო, რომლის განმავლობაშიც სასწავლებელში მეცადინეობა შეწყვეტილია“) და დამკვიდრებულია მრავლობითის ფორმით (ეს სიტყვა მხოლოდითში აღარ იხმარება). რაც შეეხება **არჩევნებს**, იგი უკვე მე-19—მე-20 საუკუნეების მიჯნაზე მრავლობითშია („დასრულდა საპარლამენტო არჩევნები საფრანგეთში“. უფრო. „**მოამბე**“, IV, 1902 წ., გვ. 27; „**მოამბე**“ არჩევნები უფრო ნორმალურ პირობებში მოხდება“, იქვე, გვ. 41). უფრო ადრე, მე-19 საუკუნის შუა წლებში, ჩანს, მხოლოდითში იყო (შდრ. აკაკი, „პირუტყვების არჩევანი“. დაწერილია 1860 წ.)¹¹.

2) არცთუ იშვიათად რუსულში (და სხვა ევროპულ ენებში) ოდენ მრავლობითის მქონე სიტყვები ქართულში შემოსულია მხოლოდითის ფორმით:

მაკარონი [შდრ. რუს. макароны, იტალ. maccherone (**მხ.**), ფრანგ. macaroni (**მხ.**), გერმ. Makkaroni (**მრ.**)].

და კომუნისტი“, 1953); „ტრუსებში გამოწყობილი პოლიციელები“ (ვ. ბარათაშვილი, „კაპიტნის ჩანაწერები“) და ა. შ. იხ. აგრეთვე, **ოლ:** კურანტი, მრ. კურანტები; ჯუნგლი, ჯუნგლები მრ.

¹⁰ ზოგი მაგალითი იხ. ზემოთ.

¹¹ **არჩევნებ**-ის მხოლოდითი **არჩევანი** თავის მხრივ მიღებულია **არჩევა**-საგან მრავლობითის -6 სუფიქსის დართვით (ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 79, 80). რამდენიმე სხვა სიტყვაც არის ქართულში ამ ტიპისა (ნარინი მრავლობითის ფორმით, რომელსაც დაკარგული აქვს მრავლობათის გაგება): საეკლესიო წიგნების სახელები — **უამნი**, **ღავითნი**, **ლოცვანი**... აგრეთვე **თავნი**, **ღედანი** და სხვ. (იქვე, გვ. 79).

კონსერვი [შდრ. რუს. консервы, გერმ. Konserven (მრ.)].

შპროტი [შდრ. რუს. шпроты, გერმ. Sprotten (მრ.)]—თევზის კონსერვი ერთგვარი.

ალიმენტი (შდრ. რუს. алименты, ფრანგ. aliments (მრ.), გერმ. Alimente (მრ.).

პიკული [შდრ. რუს. пикули (მრ.), ინგლ. pickles (მრ.)]—მწნილი ერთგვარი.

ამ მაგალითებს სისრულისათვის უნდა დავუმატოთ მოლაპარაკება, რომელიც გამოყენებულ იქნა переговоры-ს (მხოლოდობითი მრავლობითის) შესატყვისად. ამის ბადალი სიტყვები მრავლობითშია აგრეთვე ფრანგულში, ინგლისურსა და გერმანულში.

3) რუსული ოდენ მრავლობითის მქონე სიტყვები მხოლოდობითად არის აღქმული. ასეთებია: дроги—დროგი (და არა დროგები), дрожжи—დროჯი (და არა დროჯები), дрожки—დროშკა (მსუბუქი ეტლი ერთგვარი), духи—დუხი.

ეს სიტყვები შემოსულია მე-19 ს-ში ზეპირი გზით (აქა-იქ გვხვდება იმ დროის ქართულ ლიტერატურაშიც). ქართველმა მომხმარებელმა არ იცოდა მათი გრამატიკული აგებულება (განსხვავებით იმათგან, ვისაც უხდება джунгли-ს, джинсы-ს, шорты-ს გადმოღება) და, ბუნებრივია, რომ მხოლოდობითად გადმოჰქონდა.¹²

4) ლექსიკონებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვები, როგორც წესი, მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი. უკვე მოყვანილ მაგალითებს (იხ. ზემოთ, თითოეულ განხილულ სიტყვასთან ცალცალკე) უნდა დავუმატოთ ტერმინოლოგიური ლექსიკონების მონაცემები. ტერმინოლოგიის დამუშავებისას ხშირად საჭირო ხდება ცალკეული ფუძეებისა და აფიქსებისაგან ახალი სიტყვების წარმოება. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სიტყვის სწორად აგებას ქართულ ენაში არსებული მოდელების მიხედვით. ამიტომ სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიებში რუსული ოდენ მრავლობითის მქონე სიტყვების ბადალად სხვადასხვა დროს შეიქმნა ტერმინები მხოლოდობითის ფორმით, რომლებიც შემდეგ დამკვიდრდა სათანადო დარგში და, საერთოდ, ქართულ მეტყველებაში. მაგალითად: белила—თეთრა, кусачки—მკვნეტარა, плоскогубцы—ბრტყელტუჩა, носилки—ჯინი, скакун—საანგარიშო, подмости—ფიცარნავი, параллельные брусья—ორძელი, духи—სუნამო და სხვ.

¹² შემდეგში დროშკა და დროგი გამოვიდა ხმარებიდან, რადგანაც ამ სიტყვებით აღნიშნული საგნები გაქრა, ხოლო დროჯი და დუხი შეცვალა მათმა ქართულმა შესატყვისებმა (საფუარმა და სუნამომ).

არა გვაქვს შემთხვევა, რომ ამ რიგის რუსული ტერმინი ქართულად მრავლობითის ფორმით იყოს გადმოღებული.

* * *

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ: სიტყვა თუ აღნიშნავს ერთ საგანს ან მოვლენას და მხოლოდობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც (ოღონდ ისე, რომ მრავლობითის გაგება არა აქვს), უპირატესობა უნდა მიეცეს მხოლოდობითს. ენაში ამის ტენდენცია არის და ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მას. ამიტომ უნდა ითქვას და დაიწეროს: **სათვალე, ჯუნგლი, კურანტი, კორტესი, რეიტუზი, ჯინსი, შორტი** და ა. შ. და ყველა ანალოგიური სიტყვა, რომელიც კი მომავალში შეიძლება შეითვისოს ქართულმა ენამ.